ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032425566-03
თარიღი: 11.09.2024 16:45
ვადა: 11.10.2024

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01242552766 განცხადების თარიღი: 11.09.2024
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

2023 წლის 19 მაისის N 25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032425566-03
11.09.2024 : 16:45
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01242552766**
თარიღი: **11/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N 2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/ საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N 25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, განმარტებით ბარათსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 11 სექტემბრის N 24.1527.1727 განკარგულებას.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 24.1527.1727
11 / სექტემბერი / 2024 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 75-ე მუხლის „ბ.ა" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახაბერ გულედანს.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

<u>დანართი</u>
<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2024 წლის _____
ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 22/05/2023, სარეგისტრაციო კოდი 280080000.35.101.017094 და დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის"(დანართი N1):

ა) მე-3 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1.უსახლკარო პირად რეგისტრაციის განაცხადს სამსახური უგზავნის ა(ა)იპ-ს განსახილველად."

ა.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.უსახლკარო პირად რეგისტრაციისათვის პირი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა შემდეგ პირობას:

ა) რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში;

ბ) არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი;

გ) არ გააჩნია საბინაო ხარჯების უზრუნველსაყოფად საჭირო შემოსავალი;

დ) მის სახელზე არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება;

ე) ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული განაცხადის ფორმის შევსებისას მონიშვნის ფორმით უნდა გამოხატოს თანხმობა თავშესაფრით სარგებლობასთან დაკავშირებით;

ვ) განაცხადის ფორმის შევსებისას პირი არის სრულწლოვანი."

ბ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურა

1.უსახლკაროდ რეგისტრირებული და ქულა მინიჭებული ოჯახების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება ა(ა)იპ-ს და გამგეობებს (უსახლკარო ოჯახების რეგისტრაციის მისამართის მიხედვით).

2. ა(ა)იპ-ისათვის და გამგეობებისათვის მიწოდებული ოჯახების საცხოვრისით დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება ქულის მიხედვით (რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო პრიორიტეტულია ოჯახის საცხოვრისით დაკმაყოფილება).

3. სამსახურის მიერ ქულამინიჭებულ ოჯახებს გამგეობა უკავშირდება რიგითობის მიხედვით და განუმარტავს, რომ მათ აქვთ საცხოვრისის მოძიების შესაძლებლობა. აღნიშნული პროცედურისათვის განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომლის ამოწურვის შემთხვევაშიც, დაკავშირება მოხდება სიაში მის შემდეგ მდგომ ოჯახთან. იგივე მიდგომა ვრცლდება უკვე არსებულ სოციალურ საცხოვრისებში ფართის გამოთავისუფლების შემთხვევებზეც, ქულათა სრული დამთხვევისას, ოჯახთან დაკავშირება მოხდება უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების თარიღით, იმ შემთხვევაში კი, თუ სტატუსის მინიჭების თარიღიც იგივეა, განაცხადის შემოტანის თარიღით.

4. ოჯახის მიერ ფართის მოძიების შემდგომ, გამგეობა აგროვებს ფართის შესახებ სრულ დოკუმენტაციას (მათ შორის მოძიებული ფართის საკადასტრო კოდს, ფოტოებს, მესაკუთრის მონაცემებს, მდებარეობს თუ არა საცხოვრებელი/ბინა ავარიულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში და ა.შ.) და აგზავნის სააგენტოში, შუამდგომლობით კონკრეტული ოჯახისთვის ფართის შეძენის თაობაზე.

5. ოჯახის წევრთა განსხვავებულ იურიდიულ მისამართებზე რეგისტრაციისას, ოჯახისთვის საცხოვრისის შეთავაზების უფლებამოსილება განეკუთვნება იმ გამგეობას, რომლის ტერიტორიაზეც უფრო მეტი ოჯახის წევრია რეგისტრირებული, ხოლო თანაბარი რაოდენობის რეგისტრაციისას, იმ გამგეობას, რომელსაც იმ ეტაპისთვის ნაკლები ბინა აქვს შეძენილი.

6. დოკუმენტაციის გავლის შემდგომ, სააგენტოს მიერ ფართი შესაფასებლად იგზავნება ბიუროში.

7. ბიუროს დასკვნის წარმოდგენის შემდგომ, მოწმდება ფართის, ბიუროს მიერ დადგენილი საბაზრო ღირებულებისა და მესაკუთრის მიერ განსაზღვრული ნასყიდობის საფასურის შესაბამისობა მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან და შესაბამისობის შემთხვევაში, მზადდება საკითხი მთავრობის სხდომაზე გასატანად.

8. მთავრობის განკარგულების გამოცემის შემდგომ, უძრავი ნივთის მესაკუთრესთან ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება.

9. ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, შეძენილი ფართის მესაკუთრედ რეგისტრირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

10. აღნიშნულის შემდგომ სააგენტო გამოსცემს ბრძანებას შეძენილი ფართის ა(ა)იპ-სათვის გადაცემის თაობაზე, რის თაობაზეც, აცნობებს სამსახურს.

11. ა(ა)იპ აწვდის ინფორმაციას სამსახურს კონკრეტული ოჯახისთვის გამოთავისუფლებული ფართის შეთავაზების თაობაზე.

12. გამგეობა აწვდის ინფორმაციას სამსახურს უსახლკარო სტატუსის მქონე ოჯახისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, კონკრეტული ფართის შეძენის თაობაზე.

13. სააგენტოდან გადმოგზავნილი სააგენტოს უფროსის ბრძანებისა და გამგეობის ინფორმაციის საფუძველზე ან ა(ა)იპ-ის შუამდგომლობის საფუძველზე ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს (განკარგულების სახით) მთავრობა.

14. უსახლკარო ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფა ხდება ფართის ოპტიმალური გადანაწილების პრინციპის საფუძველზე. ერთ ადამიანზე გასათვალისწინებელი საორიენტაციო საცხოვრებელი ფართი შეადგენს 6 (ექვსი) კვადრატულ მეტრს.

15. ოჯახის უსახლკარო ოჯახად რეგისტრაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის არ წარმოშობს უსახლკარო ოჯახის საცხოვრისით რაიმე კონკრეტულ ვადაში აუცილებელი დაკმაყოფილების ვალდებულებას. უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახის საცხოვრისით დაკმაყოფილება მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რესურსების შესაბამისად.

16. ის ოჯახები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით დაკმაყოფილდებიან საცხოვრისით, აფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას ა(ა)იპ-თან 3 (სამი) წლის ვადით."

გ) მერვე მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8[1] მუხლი:

„მუხლი 8[1]. უსახლკარო ოჯახის სტატუსის გაუქმების წინაპირობები და პროცედურები

1. ოჯახის მიერ საცხოვრისით უზრუნველყოფის შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოჯახს უუქმდება სტატუსი და ოჯახის განაცხადი განმეორებით არ განიხილება მომდევნო 2 (ორი) წლის განმავლობაში.

2. საცხოვრისით სარგებლობის პირობები განისაზღვრება უსახლკარო ოჯახსა და ა(ა)იპ-ს შორის დადებული ხელშეკრულებით, ასევე „სოციალური საცხოვრისის მართვის სამოქმედო ინსტრუქციით", რომლის დარღვევა შეიძლება გახდეს საცხოვრისით სარგებლობის შეწყვეტის საფუძველი.

3. ა(ა)იპ-ის ფარგლებში დაკომპლექტებული გუნდი, საცხოვრისში მცხოვრები ოჯახების გადამოწმებისა და მათი ცხოვრების ფაქტის დადასტურების მიზნით, ახორციელებს ვიზიტს საცხოვრისში არანაკლებ ყოველი 45 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. ა(ა)იპ-ის ფარგლებში დაკომპლექტებული გუნდი, მინიმუმ 3 (სამი) თვის განმავლობაში საცხოვრისში ოჯახის არცხოვრების ფაქტის (ცხოვრების ფაქტის დადასტურებად არ განიხილება ოჯახის წევრთა მიერ საცხოვრისში ერთჯერადი ვიზიტები ან მათი მხრიდან საცხოვრისის გამოყენება ნივთების განთავსება/შენახვის მიზნით, გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როცა განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით დასტურდება ოჯახის წევრთა მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების, მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ჩართვის და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მიზნით.) დადასტურების შესახებ ინფორმაციას, ოქმისა და ვიდეოჩანაწერის სახით, აწვდის სამსახურს, რომლის საფუძველზეც მზადდება მთავრობის განკარგულება უსახლკაროს სტატუსის მქონე ოჯახსა და ა(ა)იპ-ს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

5. უსახლკარო სტატუსის მქონე ოჯახსა და ა(ა)იპ-ს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, სამსახური გამოსცემს ბრძანებას, ოჯახისათვის უსახლკარო სტატუსის გაუქმების შესახებ.

6. კომისია საჭიროებისამებრ ან ყოველ 3 წელიწადში ერთხელ ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახი ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმებს და გასცემს რეკომენდაციას უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახისათვის ხელშეკრულების 3 (სამი) წლის ვადით გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ, რის საფუძველზეც გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

7. შემოწმების შედეგად კომისიის მიერ უარყოფითი რეკომენდაციის გაცემისა და მთავრობის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სამსახური გამოსცემს ბრძანებას უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

8. კომისია ახალი გარემოების გამოვლენისას უფლებამოსილია ოჯახს გაუუქმოს უსახლკარო ოჯახის სტატუსი.

9. სამსახური უზრუნველყოფს უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას გამგეობებისთვის“.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 75-ე მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახაბერ გულედანს.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<u>დანართი</u>
<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2024 წლის _____
ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 22/05/2023, სარეგისტრაციო კოდი 280080000.35.101.017094 და დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის“(დანართი N1):

ა) მე-3 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„$1^{1.}$.უსახლკარო პირად რეგისტრაციის განაცხადს სამსახური უგზავნის ა(ა)იპ-ს განსახილველად.“

ა.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.უსახლკარო პირად რეგისტრაციისათვის პირი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა შემდეგ პირობას:

ა) რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში;

ბ) არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი;

გ) არ გააჩნია საბინაო ხარჯების უზრუნველსაყოფად საჭირო შემოსავალი;

დ) მის სახელზე არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება;

ე) ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული განაცხადის ფორმის შევსებისას მონიშვნის ფორმით უნდა გამოხატოს თანხმობა თავშესაფრით სარგებლობასთან დაკავშირებით;

ვ) განაცხადის ფორმის შევსებისას პირი არის სრულწლოვანი.“

ბ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურა

1.უსახლკაროდ რეგისტრირებული და ქულა მინიჭებული ოჯახების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება ა(ა)იპ-ს და გამგეობებს (უსახლკარო ოჯახების რეგისტრაციის მისამართის მიხედვით).

2. ა(ა)იპ-ისათვის და გამგეობებისათვის მიწოდებული ოჯახების საცხოვრისით დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება ქულის მიხედვით (რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო პრიორიტეტულია ოჯახის საცხოვრისით დაკმაყოფილება).

3. სამსახურის მიერ ქულამინიჭებულ ოჯახებს გამგეობა უკავშირდება რიგითობის მიხედვით და განუმარტავს, რომ მათ აქვთ საცხოვრისის მოძიების შესაძლებლობა. აღნიშნული პროცედურისათვის განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომლის ამოწურვის შემთხვევაშიც, დაკავშირება მოხდება სიაში მის შემდეგ მდგომ ოჯახთან. იგივე მიდგომა ვრცლდება უკვე არსებულ სოციალურ საცხოვრისებში ფართის გამოთავისუფლების შემთხვევებზეც, ქულათა სრული დამთხვევისას, ოჯახთან დაკავშირება მოხდება უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების თარიღით, იმ შემთხვევაში კი, თუ სტატუსის მინიჭების თარიღიც იგივეა, განაცხადის შემოტანის თარიღით.

4. ოჯახის მიერ ფართის მოძიების შემდგომ, გამგეობა აგროვებს ფართის შესახებ სრულ დოკუმენტაციას (მათ შორის მოძიებული ფართის საკადასტრო კოდს, ფოტოებს, მესაკუთრის მონაცემებს, მდებარეობს თუ არა საცხოვრებელი/ბინა ავარიულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში და ა.შ.) და აგზავნის სააგენტოში, შუამდგომლობით კონკრეტული ოჯახისთვის ფართის შეძენის თაობაზე.

5. ოჯახის წევრთა განსხვავებულ იურიდიულ მისამართებზე რეგისტრაციისას, ოჯახისთვის საცხოვრისის შეთავაზების უფლებამოსილება განეკუთვნება იმ გამგეობას, რომლის ტერიტორიაზეც უფრო მეტი ოჯახის წევრია რეგისტრირებული, ხოლო თანაბარი რაოდენობის რეგისტრაციისას, იმ გამგეობას, რომელსაც იმ ეტაპისთვის ნაკლები ბინა აქვს შეძენილი.

6. დოკუმენტაციის გავლის შემდგომ, სააგენტოს მიერ ფართი შესაფასებლად იგზავნება ბიუროში.

7. ბიუროს დასკვნის წარმოდგენის შემდგომ, მოწმდება ფართის, ბიუროს მიერ დადგენილი საბაზრო ღირებულებისა და მესაკუთრის მიერ განსაზღვრული ნასყიდობის საფასურის შესაბამისობა მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან და შესაბამისობის შემთხვევაში, მზადდება საკითხი მთავრობის სხდომაზე გასატანად.

8. მთავრობის განკარგულების გამოცემის შემდგომ, უძრავი ნივთის მესაკუთრესთან ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება.

9. ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, შეძენილი ფართის მესაკუთრედ რეგისტრირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

10. აღნიშნულის შემდგომ სააგენტო გამოსცემს ბრძანებას შეძენილი ფართის ა(ა)იპ-სათვის გადაცემის თაობაზე, რის თაობაზეც, აცნობებს სამსახურს.

11. ა(ა)იპ აწვდის ინფორმაციას სამსახურს კონკრეტული ოჯახისთვის გამოთავისუფლებული ფართის შეთავაზების თაობაზე.

12. გამგეობა აწვდის ინფორმაციას სამსახურს უსახლკარო სტატუსის მქონე ოჯახისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, კონკრეტული ფართის შეძენის თაობაზე.

13. სააგენტოდან გადმოგზავნილი სააგენტოს უფროსის ბრძანებისა და გამგეობის ინფორმაციის საფუძველზე ან ა(ა)იპ-ის შუამდგომლობის საფუძველზე ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს (განკარგულების სახით) მთავრობა.

14. უსახლკარო ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფა ხდება ფართის ოპტიმალური გადანაწილების პრინციპის საფუძველზე. ერთ ადამიანზე გასათვალისწინებელი საორიენტაციო საცხოვრებელი ფართი შეადგენს 6 (ექვსი) კვადრატულ მეტრს.

15. ოჯახის უსახლკარო ოჯახად რეგისტრაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის არ წარმოშობს უსახლკარო ოჯახის საცხოვრისით რაიმე კონკრეტულ ვადაში აუცილებელი დაკმაყოფილების ვალდებულებას. უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახის საცხოვრისით დაკმაყოფილება მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რესურსების შესაბამისად.

16. ის ოჯახები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით დაკმაყოფილდებიან საცხოვრისით, აფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას ა(ა)იპ-თან 3 (სამი) წლის ვადით.“

გ) მერვე მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8[1] მუხლი:

„მუხლი 8[1]. უსახლკარო ოჯახის სტატუსის გაუქმების წინაპირობები და პროცედურები

1. ოჯახის მიერ საცხოვრისით უზრუნველყოფის შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოჯახს უუქმდება სტატუსი და ოჯახის განაცხადი განმეორებით არ განიხილება მომდევნო 2 (ორი) წლის განმავლობაში.

2. საცხოვრისით სარგებლობის პირობები განისაზღვრება უსახლკარო ოჯახსა და ა(ა)იპ-ს შორის დადებული ხელშეკრულებით, ასევე „სოციალური საცხოვრისის მართვის სამოქმედო ინსტრუქციით“, რომლის დარღვევა შეიძლება გახდეს საცხოვრისით სარგებლობის შეწყვეტის საფუძველი.

3. ა(ა)იპ-ის ფარგლებში დაკომპლექტებული გუნდი, საცხოვრისში მცხოვრები ოჯახების გადამოწმებისა და მათი ცხოვრების ფაქტის დადასტურების მიზნით, ახორციელებს ვიზიტს საცხოვრისში არანაკლებ ყოველი 45 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. ა(ა)იპ-ის ფარგლებში დაკომპლექტებული გუნდი, მინიმუმ 3 (სამი) თვის განმავლობაში საცხოვრისში ოჯახის არცხოვრების ფაქტის (ცხოვრების ფაქტის დადასტურებად არ განიხილება ოჯახის წევრთა მიერ საცხოვრისში ერთჯერადი ვიზიტები ან მათი მხრიდან საცხოვრისის გამოყენება ნივთების განთავსება/შენახვის მიზნით, გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როცა განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით დასტურდება ოჯახის წევრთა მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების, მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ჩართვის და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მიზნით.) დადასტურების შესახებ ინფორმაციას, ოქმისა და ვიდეოჩანაწერის სახით, აწვდის სამსახურს, რომლის საფუძველზეც მზადდება მთავრობის განკარგულება უსახლკაროს სტატუსის მქონე ოჯახსა და ა(ა)იპ-ს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

5. უსახლკარო სტატუსის მქონე ოჯახსა და ა(ა)იპ-ს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, სამსახური გამოსცემს ბრძანებას, ოჯახისათვის უსახლკარო სტატუსის გაუქმების შესახებ.

6. კომისია საჭიროებისამებრ ან ყოველ 3 წელიწადში ერთხელ ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახი ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმებს და გასცემს რეკომენდაციას უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახისათვის ხელშეკრულების 3 (სამი) წლის ვადით გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ, რის საფუძველზეც გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

7. შემოწმების შედეგად კომისიის მიერ უარყოფითი რეკომენდაციის გაცემისა და მთავრობის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სამსახური გამოსცემს ბრძანებას უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

8. კომისია ახალი გარემოების გამოვლენისას უფლებამოსილია ოჯახს გაუუქმოს უსახლკარო ოჯახის სტატუსი.

9. სამსახური უზრუნველყოფს უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას გამგეობებისთვის“.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“ საჭიროებს გარკვეული ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, რასაც განაპირობებს სამუშაო პროცესში გამოვლენილ შემთხვევათა მრავალფეროვნება. იმისათვის, რომ როგორც სამსახურის, ისე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყოს სამართლებრივად სწორი და დასაბუთებული, საჭიროა გარკვეულ ნორმათა ჩამოყალიბება ან უკვე არსებულში ცვლილებების შეტანა.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, უსახლკარო სტატუსის მქონე ოჯახების მიერ ფართის მოძიების პროცედურებისა და ვადების უკეთესად გამოკვეთა, გამგეობების მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა დაზუსტება და წესის ისე ჩამოყალიბება, რომ რაც შეიძლება მოქნილი იყოს, როგორც განმცხადებლის, ასევე სამსახურისთვის, სამუშაო პროცესში.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

წესის მე-3 მუხლი განიცდის რედაქციული ცვლილებას და პირველი პუნქტის შემდგომ ემატება 1^1 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირის მიერ შევსებულ განაცხადს სამსახური უგზავნის ა(ა)იპ-ს განსახილველად. წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით, აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შემადგენელ ნაწილს, თუმცა, შინაარსობრივად მე-2 პუნქტში მოცემული ინფორმაციისგან დამოუკიდებელი გარემოებაა და საჭიროა გაწერილ იქნას ცალკე პუნქტის სახით. აქედან გამომდინარე, რედაქციულ ცვლილებას განიცადის წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტიც, რომელშიც, ამიერიდან ჩამოთვლილი იქნება მხოლოდ ის პირობები, რომელთაც პირი უნდა აკმაყოფილებდეს უსახლკარო პირად რეგისტრაციისათვის.

წესის მე-8 მუხლი, რომელიც ადგენს უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურას, განიცდის როგორც რედაქციულ ისე

შინაარსობრივ ცვლილებებს. კერძოდ, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში შედის ცვლილება და ჩანაწერი გამგეობისთვის მიწოდებული ოჯახების საცხოვრისით დაკმაყოფილების რიგითობის თაობაზე განსხვავებული ფორმით ყალიბდება, თუმცა, ახალი ჩანაწერის მიხედვითაც უცვლელი რჩება ის გარემოება, რომ ა(ა)იპ-ისათვის და გამგეობებისათვის მიწოდებული ოჯახების საცხოვრისით დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება ქულის მიხედვით. ამასთან, რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო პრიორიტეტულია ოჯახის საცხოვრისით დაკმაყოფილება. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შემდგომ ემატება მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, სამსახურის მიერ ქულამინიჭებულ ოჯახებს გამგეობა დაუკავშირდება რიგითობის მიხედვით და განუმარტავს, რომ მათ აქვთ საცხოვრისის მოძიების შესაძლებლობა. აღნიშნული პროცედურისათვის განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომლის ამოწურვის შემთხვევაშიც, დაკავშირება მოხდება სიაში მის შემდეგ მდგომ ოჯახთან. იგივე მიდგომა გავრცლდება უკვე არსებულ სოციალურ საცხოვრისებში ფართის გამოთავისუფლების შემთხვევებზეც, კერძოდ, ქულათა სრული დამთხვევისას, ოჯახთან დაკავშირება მოხდება უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების თარიღით, იმ შემთხვევაში კი, თუ სტატუსის მინიჭების თარიღიც იგივეა, ოჯახის მიერ განაცხადის შემოტანის თარიღით.

დადგენილების პროექტის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მას შემდეგ, რაც ოჯახი ფართს მოიძიებს, გამგეობა აგროვებს ფართის შესახებ სრულ დოკუმენტაციას, მათ შორის მოძიებული ფართის საკადასტრო კოდს, ფოტოებს, მესაკუთრის მონაცემებს, მდებარეობს თუ არა საცხოვრებელი/ბინა ავარიულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში და ა.შ. და აგზავნის სააგენტოში, შუამდგომლობით კონკრეტული ოჯახისთვის ფართის შეძენის თაობაზე.

წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის სახით, ჩნდება ჩანაწერი იმასთან დაკავშირებითაც, თუ რომელი გამგეობა შეიძენს ფართს ოჯახის წევრთა განსხვავებულ იურიდიულ მისამართებზე რეგისტრაციისას. ჩანაწერის მიხედვით, ოჯახის წევრთა განსხვავებულ იურიდიულ მისამართებზე რეგისტრაციისას, ოჯახისთვის საცხოვრისის შეთავაზების უფლებამოსილება განეკუთვნება იმ გამგეობას, რომლის ტერიტორიაზეც უფრო მეტი ოჯახის წევრია რეგისტრირებული, ხოლო თანაბარი რაოდენობის რეგისტრაციისას, იმ გამგეობას, რომელსაც იმ ეტაპისთვის ნაკლები ბინა აქვს შეძენილი.

წესის მე-8 მუხლი განიცდის რედაქციულ ცვლილებას და მას გამოეყოფა უსახლკარო ოჯახის სტატუსის გაუქმების საკითხთან დაკავშირებული პუნქტები, რომლებიც თავს იყრის ახლად ჩამოყალიბებულ მე-8[1] მუხლში - „უსახლკარო ოჯახის სტატუსის გაუქმების წინაპირობები და პროცედურები“. დასახელების შესაბამისად, წესის მე-8[1] მუხლში მოცემულია ის გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ოჯახს უუქმდება უსახლკაროს სტატუსი. კიდევ ერთი რედაქციული ცვლილება ხორციელდება ტერმინთა განმარტებით დადგენილი ტერმინების შესაბამისად, წესის მე-8 და მე-8[1] მუხლებში კორექტირდება ის ჩანაწერები, სადაც ნაცვლად ტერმინი „მთავრობისა“ - გამოყენებულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა“, ასევე ნაცვლად „ა(ა)იპ“-ისა გამოყენებულია ჩანაწერი - „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი.“

ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.